

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ეკონომიკის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: მათ შორის ძირითადი სასწავლო კურსები - 120 ECTS კრედიტი. ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები - 15 ECTS კრედიტი ოთხი მოდული თითოეული - 30 ECTS კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი - 10 ECTS კრედიტი, პროფესიული პრაქტიკა - 5 ECTS კრედიტი, დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები ან თავისუფალი არჩევითი კურსები - 60 ECTS კრედიტი
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის ბაკალავრები, რომელთაც აქვთ ფართო ცოდნა მიკრო და მაკროეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მახასიათებლების, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკაში რაოდენობრივი, სტატისტიკური მეთოდებისა და მოდელების, საოჯახო მეურნეობების, ფირმების ქვეყანაზე მოქმედი ფაქტორების შესახებ; აგრეთვე, ეროვნული შემოსავლების წარმოების, განაწილების და მოხმარების, დანაზოგების, ინვესტიციების, სავალუტო კურსის, საგადასახადო ბალანსის შესახებ.
სწავლის შედეგები	<ul style="list-style-type: none"> • აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, თანამედროვე აზროვნების პარადიგმებს, მათ კლასიკურ პირველწყაროებს. • აცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს, დარგში მიღწეული შედეგების პრაქტიკული გამოყენების მრავალფეროვან შესაძლებლობას. • შეუძლია ქვეყანაში მიმდინარე მაკრო და მიკროეკონომიკური, დემოგრაფიული, ფისკალური და მონეტარული პროცესების მონაცემების მოპოვება, თავმოყრა, დაჯგუფება, შერჩევა, ანალიზი და მათი გადაჭრის შესახებ რეკომენდაციების მომზადება. • შეუძლია პროექტებისა და პროგრამების საფინანსო დასაბუთებაში მონაწილეობის მიღება. ქვეყანაში არსებული ფინანსური, სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის, შრომის ბაზრის, მიგრაციის გამომწვევი ფაქტორების და შედეგების, მოსახლეობის ცხოვრების დონის, სიღარიბის დაძლევის შესაძლებლობების ანალიზი.
შეფასების წესი	სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელები: მურმან ცეცხლაძე , ასოცირებული პროფესორი ტელ: 577 21 00 19 ან 0422 27 95 97 e-mail: murman.Tsetskhladze@bsu.edu.ge ნათელა წიკლაშვილი , პროფესორი ტელ: (+995 77) 952595, e-mail: deputyrector-n@bsu.edu.ge